

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობის“ თავმჯდომარის ამირან მახარობლიძის ანგარიში მიმდინარე წლის გაწეული მუშაობის შესახებ.**

მიმდინარე 2018 წლის გაზაფხულზე სტიქიამ მრავალი პრობლემა შექმნა. განსაკუთრებით დააზიანა სოფლების მისასვლელი გზები. მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ დავიწყეთ აქტიური შეხვედრები მოსახლეობასთან. საკრებულოსა და მერიის ძალისხმევით შეკეთდა სოფლის შიდა გზები. კერძოდ სოფ. ლაჯანაში, სოფ. გაგულეჩში, სოფ.ორბელში, სოფ.სპათაგორში. პირადად მერის და საკრებულოს თავმჯდომარის დამსახურებაა, რომ ყურძნის ჩაბარება მოსახლეობის მიერ მოხდა უპრობლემოდ.

მოსაგვარებელი პრობლემები მრავლად არის, განსაკუთრებულ პრობლემად რჩება წყლის პრობლემა მრავალ სოფელში. ლაჯანასა და ორბელში წყალსადენის მშენებლობა რომელიც გათვალისწინებული იყო 2018 წელს ვერ განხორციელდა. მერია ამ პრობლემის მოგვარებას როგორც განაცხადს 2019 წლისთვის აპირებს. იმედია ეს პრობლემა მომავალ წელს მაინც მოგვარდება.